გამოყენების ინსტრუქცია

ინფორმაცია პაციენტებისთვის

ტრახისანი®

Трахисан®

Trachisan®

ყელის სავლები ხსნარი

ტ.ნ. №346
№02-238/m
09.02.18

აღნიშნული სამკურნალო საშუალების მიღების წინ ყურადღებით წაიკითხეთ ეს ინსტრუქცია.

შეინახეთ ეს ინსტრუქცია, შესაძლებელია თქვენ ხელმეორედ დაგჭირდეთ მისი წაკითხვა. დამატებითი ინფორმაცია ან რჩევა შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ექიმის ან ფარმაცევტისაგან.

შემადგენლობა

ხსნარის 100 მლ შეიცავს:

ლიდოკაინის ჰიდროქლორიდს × $1H_2O$	0.100 გ
ქლორჰექსიდინის დიგლუკონატს	0.200 გ.

შენიშვნა: შეიცავს 7.9% (მოც./მოც.) ალკოჰოლს!

გამოშვების ფორმა

ყელის სავლები ხსნარი. მზადაა გამოყენებისთვის, ყოველთვის გამოიყენეთ განზავების გარეშე.

ჩვენებები

პირის ღრუს და ყელის ანთება, როგორიცაა: სტომატიტი, გინგივიტი, პაროდონტიტი, გლოსიტი, ტონზილიტი და ფარინგიტი. ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის პირის ღრუსა და ყელში ქირურგიულ ჩარევამდე და ჩარევის შემდეგ (კბილის ამოღება, ღრძილების ქირურგიული მკურნალობა, ტონზილექტომია) და პირის ღრუდან არასასიამოვნო სუნის გასაქრობად. კბილის ნადების განვითარების პროფილაქტიკა.

უკუჩვენებები

არ შეიძლება ხსნარის გამოყენება:

- მისი ნებისმიერი შემადგენელი კომპონენტის მიმართ ჰიპერმგრძნობელობის დროს;
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის არასისხლმდენი დესკვამაციის (ეროზიული და დესკვამაციური ცვლილებების) დროს;
- პირის ღრუსა და ხახაში შედარებით დიდი, ახალი ჭრილობების შემთხვევაში.

დოზირება და მიღების წესი

თუ არ არის ნაჩვენები სხვა, გამოივლეთ ერთი სუფრის კოვზი (15 მლ) **ტრახისანის®**, ყელის სავლები ხსნარი, ყელისა და ხახის ღრუს ანთების დროს 30 წამის განმავლობაში 3-4-ჯერ დღეში. არ გამოივლოთ წყალი. ხსნარი არ გადაყლაპოთ; თუმცა შემთხვევით გადაყლაპული მცირე რაოდენობა არ არის საზიანო.

გამოყენების ხანგრძლივობა

თუ ექიმის ან ფარმაცევტის მიერ არ არის ნაჩვენები, არ გამოიყენოთ **ტრახისანის®** ყელის სავლები ხსნარი 6 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში შესვენების გარეშე.

შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა

ტრახისანის®, ყელის სავლები ხსნარი ინახება სინათლისგან დაცულ და ბავშვებისთვის მიუწდომელ ადგილას არა უმეტეს 25 °C ტემპერატურაზე. ვარგისობის ვადა მითითებულია შეფუთვაზე და ეტიკეტზე. არ გამოიყენოთ პრეპარატი აღნიშნული თარიღის შემდეგ.

შეფუთვა

200 მლ ხსნარი ფლაკონში, თითო ფლაკონი გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად მუყაოს კოლოფში.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი

ენგელჰარდ არცნაიმითელ გმბჰ & კო. კგ.
ჰერცბერგშტრასე 3, 61138 ნიდერდორფელდენი,
გერმანია

ბრძანებისათვის